

დამტკიცებულია :

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის

ბრძანებით #44 22/07/2020 წელი

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესს.

მუხლი 2 . შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება

2.1 შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს(პირებს).

2.2 შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას .

2.3 შესაბამისი ინსტრუმენტის სახეები და შესაქმნელი მტკიცებულებების ფორმა შესაძლოა შეიცვალოს მოდულის განხორციელების პროცესში, რაც მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ინსტრუმენტის გამოყენებამდე თანხმდება პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან, რომელიც განიხილავს შესაბამისი დარგის მასწავლებლებთან. პროცესის კოორდინაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

2.4 შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მიერ დამტკიცებულ ფორმას.

2.5 შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.

2.6 მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი.

2.7 მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი.

2.8 მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება # 70)

მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია

3.1 მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამისი დარგის მასწავლებლებთან ერთად.

3.2 ვალიდაცია გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

3.3 მოდულის დარგობრივი სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი პირადად ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალიტების ჩართულობით.

3.4 ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალიტების ჩართულობით.

3.5 შეფასების ინსტრუმენტების ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას (ვალიდაციას) სასწავლო პროცესის მენეჯერი.

3.6. შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდაციის ჯგუფი ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან;

ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელიაბუნდურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;

გ) შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები);

დ) შეფასების სისტემის გამჭვირვალებას, ანუ რამდენადაც ცალსახად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია.

3.7 დაუშვებელია, შინაარსობრივი ვალიდაციის პროცესში ვალიდატორი იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა ამ ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში.

3.8 ინსტრუმენტები, რომლებსაც გავლილი აქვთ ვალიდაცია, სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ შეტანილნი იქნებიან ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების რეესტრში და მათი გამოყენება შესაძლებელია პროგრამის არსებობის ვადით.

3.9 ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა/ვალიდაციის გაუქმება შესაძლებელია:

ა) მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელი პირის/შემფასებლის ინიციატივით;

ბ) პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით;

გ) სასწავლო პროცესის მენეჯერის ინიციატივით, პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძვლით;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე.

3.10 პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების მიზნით დასაშვებია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

3.11 სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესის გამჭვირვალება და სამართლიანობა.

3.12 შეფასების პროცესი გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. ამ მიზნით, სასწავლო პროცესის წარმომადგენელი უზრუნველყოფს

შეფასებაში მონაწილე ყველა სტუდენტისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, მათი სურვილის შემთხვევაში.

3.13 შეფასების პროცესი შეესაბამება სამართლიანობის მოთხოვნას, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული, რასაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მენეჯერი;

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება # 70)

მუხლი 4 შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ვერიფიკაცია

4.1. ვერიფიკაციის მიზანი ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

4.2 ვერიფიკაციის პროცესები ხორციელდება სამი მიმართულებით:

- ა) შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
- ბ) პროცესის ვერიფიკაცია
- გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია

შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია:

- ა. ვალიდურობა;
- ბ. სანდოობა;
- გ. გამჭვირვალობა;
- დ. სამართლიანობა;
- ე. ობიექტურობა,

შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;

შეფასების სისტემის ვალიდურობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების ინსტრუმენტი, რისთვისაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა შინაარსობრივი კუთხით;

შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით;

შეფასების სისტემის სანდოობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების მტკიცებულება, რისთვისაც ხორციელდება მათი შესწავლა შინაარსობრივი კუთხით;

შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული. შეფასების სისტემის გამჭვირვალობის და სამართლიანობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლის (პირობების ნაწილში), პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუების ან/და შეფასების პროცესზე დასწრების გზით.

შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული. შეფასების სისტემის ობიექტურობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლის გზით.

4.3 ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით;

4.4 ვერიფიკაციისას გამოიყენება ხარისხის მართვის მენეჯერი მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმები;

4.5 ვერიფიკაციის მიზნით, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი და ვერიფიკატორი ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფი;

4.6 ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება;

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

5.1 „სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს“ ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით.

5.2 ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება იმავე წესით, რა წესითაც ხდება მისი დამტკიცება.

5.3 წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.